ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-01232981298
თარიღი: 25/10/2023

მისამართი: შპს თორიჯორჯია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 200276487
მისამართი: ქალაქ თბილისი, გლდანი, შულენბურგი
ქუჩა 6

თქვენი 02.10.2023წ. N10/01232753173-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად შპს ,,თორიჯორჯია"-ს მიერ მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, სოფელი გლდანი, წყაროს ქუჩა, N19ა-ში (საკადასტრო კოდი:72.13.24.349) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.07.2023წ. N6545166 ბრძანებით განსაზღვრული I-III ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინსპექციას საქმისწარმოება, საქართველოს კანონის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, არ დაუწყია.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი